საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვაჩნაძე იური ანატოლის ძე

ვაჩნაძე იური ანატოლის ძე (დ. 8. III. 1933, თბილისი), პუბლიცისტი. დაამთავრა თბილ. ცენტრ. სამუსიკო სკოლა ვიოლინოს განხრით და თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი (1956). 1960–90 ეწეოდა პედ. მოღვაწეობას სპი-ში. 1994-იდან ამერიკული რადიოსადგურის „სვობოდას” კოლუმნისტი და საკუთარი კორესპონდენტია თბილისში. ეთერში გავიდა ვ-ის 200-ზე მეტი მხატვრული გადაცემა. 2004–08 რადიო „თავისუფლების” ეთერში მიჰყავდა ყოველკვირეული საავტორო გადაცემა „მუსიკა, მუსიკა”, რ-მაც ავტორის პროფესიონალიზმისა და დახვეწილი გემოვნების, აგრეთვე გადმოცემის მაღალი კულტ. გამო დიდი პოპულარობა მოიპოვა. გამოცემულია ვ-ის მხატვრული რადიო-გადაცემების კომპაქტ-დისკების ალბომი (2010), ორენოვანი წიგნი „ქართულ-რუსული კონტრაპუნქტი” (2011), აგრეთვე პოეტური კრებულები „ბედ-იღბლის საზომით” (2012), „ჩემი ფაეტონი” (2013) და „საუბრები მუსიკაზე” (2013).